

**ლევან ალექსიძე, იამზე გაგუა, მაია დანელია,
ეკატერინე კობახიძე, ნინო რუხაძე**
ლატინური იურიდიული ტერმინოლოგია
თბილისი, მერიდიანი, 2015, 678 გვ.

წიგნი დაიბეჭდა საქართველოს პრეზიდენტის ხელშეწყობით, აღნიშნული პროექტი კი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის მეშვეობით.

ქართულ ენაზე ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის ადრე გამოქვეყნებული რამდენიმე საცნობარო ხასიათის მცირე მოცულობის წიგნი ვერ აკმაყოფილებდა ქართული საზოგადოების ინტერესს, არადა ტერმინოლოგიური და ენობრივი თვალსაზრისით გამართული, მრავალფეროვანი ინფორმაციის შემცველი, აკადემიურად შესრულებული ნაშრომის შექმნა და გამოცემა, რომელიც შეიცავს არა მარტო ლათინური ტერმინის თარგმანს, განმარტებას, ქართულ ეკვივალენტებს, არამედ ასევე ინფორმაციას პირველწყაროს შესახებ, ლემის მნიშვნელობას რომის სამართალსა და მოქმედ კანონმდებლობაში, ტერმინის ქართულ სამართლებრივ სივრცეში ადრეულ დადასტურებას, საშური საქმე იყო და ამ ნაშრომმა შეავსო ეს სიცარიელე ქართულ მეცნიერებაში.

რომის სამართალი შეიცავს კლასიფიკაციის საკმაოდ სრულ მოდელს, რომელმაც, არსებითად, დღემდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა. თანამედროვე ევროპული ქვეყნების ეროვნული სამართლისა და საერთაშორისო სამართლის იურიდიული ტერმინოლოგია, ძირითადად, რომაული სამართლის

მიერ გამომუშავებული ფორმულებითა და ცნებებით საზღვრობს. დღესაც რომის სამართლის საფუძვლების ღრმა ცოდნის გარეშე შეუძლებელია მაღალი დონის პროფესიონალი იურისტის ჩამოყალიბება. ნაშრომი მიზნად ისახავს ქართველი იურისტების, სტუდენტებისა და ამ საკითხებით დაინტერესებულ პირთა წინაშე მდგარი პრობლემის გადაჭრას, სახელდობრ – ლათინური იურიდიული ტერმინისა თუ ფრაზეოლოგიური გამონათქვამის სწორად დაწერასა და გამოყენებას. რისი მიღწევაც როგორც იურისტების (ლევან ალექსიძე, ნინო რუხაძე), ასევე ლათინური ენის სპეციალიტების (იამზე გაგუა, მათა დანელია, ეკატერინე კობახიძე) ერთობლივი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.

ნაშრომი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: წინასიტყვაობა; შესავალი; I. ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია; II. ლათინური იურიდიული ფორმულები და გამონათქვამები; III. რომელი იურისტები და კანონმდებლები; IV. დანართი.

ნაშრომის ძირითად ნაწილში – ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია – წარმოდგენილია ლათინურ იურიდიულ ტერმინთა განმარტება და წარმომავლობის ისტორია. ტერმინის წაკითხვისას უზუსტობების თავიდან ასაცილებლად ლათინურ ტერმინს ახლავს ტრანსკრიფცია (როგორც კლასიკური, ასევე შუა საუკუნეების პერიოდის). ტერმინს მისადაგებული აქვს ქართული ეკვივალენტი.

საჭიროებისამებრ დამოწმებულია ტერმინის პირველწყარო (რომაელი ავტორები, იურიდიული ტექსტები). მოცემულია ტერმინის რომის სამართალსა და ქართულ სამართლებრივ აქტებსა და წყაროებში დადასტურების შესახებ ინფორმაცია.

თუ ტერმინი გამოიყენება თანამედროვე კანონმდებლობაში, მითითებულია შესაბამისი აქტი და მუხლი.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომში თავი მოიყარა არა მხოლოდ რომაული სამართლის წიაღში წარმოქმნილმა ლემებმა, რომლებიც გამოკვლევაში შეტანილია უახლესი ევროპული ლექსიკონების გათვალისწინებით, არამედ შუა საუკუნეების და უფრო გვიანდელ ეპოქაში ჩამოყალიბებულმა ლათინურმა იურიდიულმა ტერმინებმა (დაახლ. 400 ერთეული).

ზემოაღნიშნული ტერმინების ნუსხაში ჩართვა ამ სიტყვების თანამედროვე კანონმდებლობაში გამოყენებამ განსაზღვრა. ის ტერმინები, რომლებიც რომაულ სამართალში არ დასტურდება, შესაბამისად, არც კლასიკური ხანის ლათინური ენის ლექსიკონებშია, თუმცა მათ აქვთ ლათინური ეტიმოლოგია და ისინი გამოიყენებიან თანამედროვე კანონმდებლობაში. ავტორებმა ასეთი ტერმინების ვერიფიკაციისათვის დამატებით შეისწავლეს შუა საუკუნეების ლათინური ენის ლექსიკონები, სადაც რომის სამართალში და, ზოგ შემთხვევაში, თავად შუასაუკუნეებამდე, ე.წ. კლასიკურ ლათინურში არარსებული სიტყვები უკვე იურიდიული ტერმინის მნიშვნელობითაა დადასტურებული.

საყურადღებოა აგრეთვე ტერმინის სწორად წარმოთქმის პრობლემა. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ნაშრომი განკუთვნილია როგორც პროფესიონალი იურისტებისა და სტუდენტებისათვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის, ავტორებმა სრულიად სამართლიანად საჭიროდ მიიჩნიეს ლათინური ტერმინისთვის ქართული ტრანსლიტერაციით შესაბამისი ტრანსკრიფციის მითითება.

ავტორებმა ლათინური ტერმინის ქართულად გადმოტანისას ლათინური ლემების ქართული შესატყვისები მოიძიეს ქართულ საკანონმდებლო დოკუმენტებში არსებული ტერმინებში, მაგრამ ამავდროულად, ლათინური ტერმინების ქართულად გადმოცემისას გაითვალისწინეს ტრადიციულად დამკვიდრებული წესები, წიგნის ავტორები ბევრი პრობლემის წინაშე იდგნენ, ასე მაგალითად, იმ შემთხვევებში, როცა ტერმინი აშკარად ლათინურია, მაგრამ წარმოთქმა არ შეესაბამება არც კლასიკურს და არც შუა საკუნეების ლათინურს და იგი რუსულიდან არის შეთვისებული რომელიმე ევროპული ენის მეშვეობით, ავტორებმა სრულიად სამართლიანად, თარგმნეს და განმარტება დაურთეს რომის სამართლის ცნობილი წყაროების გათვალისწინებით.

კონკრეტული ლათინური ტერმინების მნიშვნელობის განმარტება და მოქმედ კანონმდებლობაში აღნიშნული ტერმინების შესაბამისი ციტირებისას ავტორებმა ისარგებლეს უცხოენოვანი იურიდიული ენციკლოპედიური ნაშრომებით და თავად ქართულ საკანონმდებლო აქტებში მოცემული განმარტებებით (აქ იგულისხმება შემთხვევები, როდესაც ტერმინის მოყვანას სამართლებრივ აქტში ახლავს მოკლე ახსნა-განმარტება).

ტერმინთა განმარტებისათვის სირთულეს წარმოადგენდა ყველა იმ ტერმინის მოძიება, რომელიც საქართველოს სამართლებრივ აქტებშია ასახული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში მოქმედებს ურიცხვი საკანონმდებლო აქტი, საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებსაც საქართველოში მოქმედი კანონის ძალა აქვთ; კიდევ უფრო დიდი რაოდენობით გვხვდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, როგო-

რებიცაა ბრძანებულებები, ბრძანებები, განკარგულებები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში იურიდიული ტერმინები გვხვდება უფრო ხშირად, ვიდრე თავად საკანონმდებლო აქტებში.

ამ რთული ვითარებაშიც ავტორებმა მოიძიეს ის ლათინური ფუძეები, რომლებითაც ოპერირებენ ქართული სამართლებრივი აქტები.

საყურადღებოა აგრეთვე პრობლემა, რომელიც უკავშირდება ლათინური ტერმინის რამდენიმე მნიშვნელობით გამოყენების საკითხს ქართულ კანონმდებლობაში. ავტორებმა ეს პრობლემა შეკრებითობის პრინციპის დაცვით გადაჭრეს, გაითვალისწინეს ყველა მნიშვნელობა და დაიმოწმეს ყველა შესაბამისი კონტექსტი. ყურადსაღებია და დაინტერესებულ პირთათვის მნიშვნელოვანი ლექსიკონის ავტორების მიერ დამუშავებული თემა: ლათინური ტერმინის ქართულ სამართლებრივ სივრცეში ადრეული დადასტურების საკითხი, რომლის შესწავლამ მოითხოვა ქართული სამართლის ძეგლების, საბჭოთა, პოსტსაბჭოთა პერიოდის და მოქმედი კანონმდებლობის გაცნობა. ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის დამუშავება (XI-XII სს.-ში შემოსული ტერმინები; XVIII-XIX სს.-ში პირველად დადასტურებული ტერმინოლოგია; საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებში პირველად წარმოდგენილი იურიდიული ტერმინები; საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული იურიდიული ტერმინოლოგია; პოსტსაბჭოთა და მოქმედ კანონმდებლობაში პირველად დადასტურებული ტერმინები).

ნაშრომის ნაწილში, რომელსაც რომელიც იურისტები და კანონმდებლები ეწოდებათ, ავტორებმა თავი მოუყარეს მოკ-

ლე ინფორმაციას იმ ცნობილი სამართალმცოდნეების, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების შესახებ, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით რომის სამართლის ისტორიაში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ რომის სამართლის არაერთი კანონი მათ სახელთან არის დაკავშირებული, რაც ბუნებრივად ზრდის ინტერესს ამ პიროვნებების მიმართ. დანართში წარმოდგენილი გრამატიკული ცნობარი (ლათინური ანბანი და ფონეტიკის უმთავრესი ელემენტები, წარმოთქმის წესები, ხმოვნების სიგრძე-სიმოკლე, მახვილი, ბრუნების, უღლების და სხვა მოდელების შემცველი გრამატიკული სქემები), ბუნებრივია, აადვილებს ლათინური ტერმინების, ფორმულებისა და გამონათქვამების სრულყოფილად და სწორად გაგებას. წიგნს ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია გამოიყენებენ როგორც სტუდენტები, ასევე სამეცნიერო წრეები, პრაქტიკოსი იურისტები და ასევე ამ საკითხებით დაინტერესული პირები.

რასაკვირველია, ეს ნაშრომი დროთა განმავლობაში გადამუშავდება, რადგანაც ლათინურ ტერმინთა შემოსვლა ქართულ საკანონმდებლო დოკუმენტებში დღესაც გრძელდება, რაც, ბუნებრივია, მუდმივად მოითხოვს ახალი მასალებით გამდიდრებას და იმ ტერმინების მოძიებას, რომლებიც შემდგომში სათანადო განმარტებებითა და სამართლებრივი აქტებიდან შესაბამისი ციტირებებით იქნება დამოწმებული. მით უფრო, რომ საკანონმდებლო სივრცე მუდმივად ვითარდება (საქართველოში ეს საკმაოდ ინტენსიურად ხორციელდება), ხდება ახალი სამართლებრივი აქტების მიღება და არსებულ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანა. შედეგად, ეს ტერმინები, რომლებიც უკვე მოცემულია გამოკვლევა-

ში, შეიძლება აღარ შეგვხვდეს შეცვლილ სამართლებრივ აქტებში ან წარმოდგეს განსხვავებული მნიშვნელობით. ლათინური იურიდიულ ტერმინთა შევსება, შესწორება მუდმივად განახლებადი პროცესია.

ყოველივე ეს ცხადყოფს ლათინური ენის და, აქედან გამომდინარე, ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის მნიშვნელობას ქართულ და ზოგადად მსოფლიო იურისპრუდენციაში და შესაბამისად, ეს წიგნი *ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია* ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოს ქართული მეცნიერების საჭირო და მნიშვნელოვანი შენაძენია.

მანანა ფხაკაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი